პროლეტარიებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 6 (501) კვირა, 20 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინის დიადი დროშით

ხვალ სრულდება 28 წელი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, მშრომელთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, რევოლუციის უდიდესი გენიის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების დღიდან.

ლენინის სახელი უქრობი ჩირაღდანივით ანთია საბჭოთა კავშირის მშრომელთა გულებში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა გულებში; ლენინის სახელი აღაფრთოვანებს და რაზმავს მთელ პროგრესულ კაცობრიობას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, მშვიდობის დაცვის საშვილიშვილო საქმეში.

ლენინის დიადი იდეებით შეიარაღებული სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელები, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, განვლილი 28 წლის მანძილზე მტკიცედ მიდიან ლენინის ნაანდერძევი გზით და ყოველ დღეს მათთვის ახალი წარმატება მოაქვს.

ლენინის უკვდავ სახელთან უშუალოდაა დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყოველი გამარჯვება, ყოველი ახალი ნაბიჯი, გადადგმული კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ჩვენი მრავალეროვანი დედასამშობლო — ლენინიზმის იდეების ცოცხალი განსახიერებაა. მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის დედაბოძი, ქვეყანა, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მკაფიო დამადასტურებელია იმისა, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიის გარეშე წარმატებით შეუძლია ქვეყნის მართვა, რომ მას შესწევს ძალა სოციალიზმის აშენებისათვის, რომ მხოლოდ სოციალისტური წესწყობალება აძლევს ხალხს თავისუფლებას, ბედნიერებას, მშვიდობას, მუშაობის, სწავლისა და დასვენების უფლებას.

განუხრელად ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით, ჩვენი შვეყანა გადააქცია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ძლიერ და ვერაგ მტრებიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირულად დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი და ახლა შემოქმედებითი შრომის პათოსით აღსავსე წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის სტალინურ პროგრამას.

ყოველ ახალ წელს საბჭოთა ხალხს ცხოვრებაში ახალი გამარჯვება მოაქვს. ამ შესანიშნავ გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღწევენ იმიტომ, რომ ისინი ერთგულად ემსახურებიან ლენინიზმის საქმეს, ურღვევად არიან დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი დროშის გარშემო და თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის მითითებებითა და დახმარებით.

სსრ კავშირის დიადი მაგალითი გმირული საქმეებისათვის რაზმავს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც, შეიარაღებულნი ლენინიზმის იდეებით, სოციალიზმს აშენებენ თავიანთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებში. დიდი წარმატებები მოიპოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა; ამ გამარჯვებათა მტკიცე საძირკველი — ლენინის საქმისადმი ერთგულებაა. წარმატებათ იბრძვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები.

სულ სხვა სურათია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და აგრესიული ატლანტიკური ბლოკის სხვა ქვეყნებში. გამალებული შეიარაღება, სამხედრო ბიუჯეტის შეუნელებელი ზრდა, აშკარა მზადება მესამე მსოფლიო ომისათვის, მშრომელთა არაადამიანური ძარცვა და ექსპლოატაცია, სიღატაკე, შიმშილი და უუფლებობა—აი, ასეთი კურსი აქვთ აღებული ამ სახელმწიფოთა მმართველებს.

ომის გამჩაღებელთა ბანაკის მეთაურად არის ამერიკის შეერთებული შტატების „სრულიად გაშიშვლებული იმპერიალიზმი“ (ვ. ი. ლენინი).

ლენინი მკაფიოდ ადასტურებდა, რომ მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა დემოკრატიის შესახებ, კაპიტალი არსად არ მეფობს ისე დაუნდობლად და თავხედურად, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიდი ბელადის ამ შეფასებას ნათლად ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა ბოროტი „მოლვაწეობა“: ომი კორეაში, მშრომელთა ექსპლოატაცია, რასობრივი დისკრიმინაცია, მზადება ახალი ომისათვის.

ლენინ-სტალინის იდეებით აღჭურვილ საბჭოთა ხალხს არ აშინებს ომი, მაგრამ იგი მედგრად იბრძვის ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული და ლენინის დიადი დროშით, სტალინის ბრძნული წინამძღოლობით მიდის წინ—კომუნიზმისაკენ!

★

ახალი რეკორდი

16 იანვარს ალმა-ატის მახლობლად მდებარე მაღალმთიან საციგურაოზე (მედეო) ახალი საკავშირო რეკორდი — 8:18,8 — დაამყარა ახალგაზრდა ლენინგრადელმა ე. კრასილნიკოვმა 5.000 მეტრზე რბენაში.

გახსოვდეთ, ეფიქრებოდეთ.
შეისწავლეთ ი ლ ი ჩ ი,
ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი
ბელადი.

ი. ბ. სტალინი

ლენინი და ფიზიკური კულტურა

28 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მშრომელ კაცობრიობის საყვარელი ბელადი და მასწავლებელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი, კაცობრიობის უდიდესი გენიოსი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინის მოძღვრებისადმი, მისი ანდერძისადმი ერთგულმა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, აშენა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება და მტკიცედ მიდის წინ — კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალისაკენ.

დიდი ლენინის იდეები, მისი ანდერძი ფრთებს ისხამს იმ დიდ მუშაობაშიც, რომელსაც ეწევა ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფიზიკური აღზრდისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას. „ჩვენს შრომის ქვეყანაში, — გენიალური შორსმჭვრეტელობით ამბობდა ვ. ი. ლენინი, — საჭიროა ფიზიკურად გამძლე ადამიანთა, ნებისყოფიან, მამაც, ენერგიულ, მტკიცე ადამიანთა მილიონიანი არმიები. მათ ეკუთვნით მომავალი, მათი ხელით იქნება მოპოვებული ადამიანთა საზოგადოების ახალი საფუძვლების მშენებლობის უფლება“.

დიდი ლენინის ეს მითითება საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფიზიკურ აღზრდას.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდა-განვითარების საქმეში. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობის აუცილებლობას.

ამტომაც, შემთხვევითი არ არის ის, რომ საბჭოთა სკოლის არსებობის პირველივე წელს ლენინის ინიციატივით ფიზიკური აღზრდა შემოღებულ იქნა, როგორც აუცილებელი სასწავლო საგანი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე წელს — 1918 წლის გაზაფხულზე, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მძიმე დღეებს განიცდიდა, ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს საყოველთაო სამხედრო სწავლების შესახებ.

დეკრეტი საყოველთაო სამხედრო სწავლების შესახებ, რომლის მიღებაც გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმ დიდი სამხედრო საშიშროებით, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ახალგაზრდა რესპუბლიკა, მოითხოვდა მშრომელთათვის იარაღის ხმარების სწავლებას, მაუთითებდა ამ სწავლების ფორმებსა და მეთოდებზე. მაგრამ დეკრეტში დასახული იყო არა მარტო ეს მთავარი ამოცანები; მასში მითითებული იყო მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მეთოდები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ფიზიკურ კულტურას.

ამ ისტორიულ დეკრეტში ფიზიკური აღზრდა აღიარებული იყო, როგორც ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ელემენტი, როგორც სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და მშვიდობიანი შრომისათვის საბჭოთა ხალხის ჰომზადების მძლავრი საშუალება.

დეკრეტმა საყოველთაო სამხედრო სწავლების შესახებ, ფაქტიურად, საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის, წამოწყებას.

ლენინის მითითების საფუძველზე მშრომელი მასების ფიზიკურმა აღზრდამ ფართო გასაქანი ჰპოვა. საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობა გადიოდა პოლიტიკურ მომზადებას, სწავლობდა იარაღის ხმარებას, იძენდა საჭირო ფიზიკურ წრთობას, მოკლედ, იძენდა საბჭოთა მებრძოლისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ცნობილია, რომ ამ ახალგაზრდობამ დიდი სამსახური გაუწია წითელ არმიას ჩვენი ქვეყნის შინაურ და საგარეო მტრებთან ბრძოლებში.

შემდგომში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ თავიდან აიცილა სამხედრო საშიშროება, საყოველთაო სამხედრო სწავლებაში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სწავლა-განვითარებას, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მათ ფართოდ ჩაბმას.

ლენინის მითითებათა საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სპორტული ცენტრების, კლუბების, ტანვარჯიშის სკოლების ფართო ქსელი, გაიხსნა ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კურსები, დაიწყო სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა. იმავე წლებში დიდი ბელადის ინიციატივით მოსკოვში დაარსდა პირველი უმაღლესი ფიზკულტურული სასწავლებელი.

ლენინის მითითებებმა მშრომელთა ფიზიკური აღზრდის შესახებ დიდი ხელმძღვანელი როლი შეასრულეს კომკავშირის ცხოვრებაში. ლენინის ინიციატივით კომკავშირის III ყრილობამ, რომელიც 1920 წლის ოქტომბერში შეიდგა, მიიღო დადგენილება, სადაც ფიზიკური მომზადება აღიარებული იყო, როგორც კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილი, შრომისათვის და საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის მშრომელთა მომზადების მძლავრი საშუალება.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შეხედულებანი ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე გამომდინარეობდნენ მისი პირადი გამოცდილებიდანაც.

ცნობილია, რომ ლენინს ძლიერ უყვარდა ფიზიკური ვარჯიშები, იგი გატაცებით მისდევდა სპორტს. ლენინის წერილები, მისი ნათესავებისა და მეგობრების მოგონებანი ნათლად მეტყველებენ იმას, რომ ლენინი სპორტის სხვადასხვა სახეებს მისდევდა არა მარტო ახალგაზრდობის წლებში, არამედ შემდგომშიც.

ლენინს ძალიან უყვარდა ცეგურებით სრიალი, ველოსპორტი, იგი საუცხოოდ ცურავდა, გატაცებით თამაშობდა ჭადრაკს, აგრეთვე რუსულ რიკაობას, ხშირად მოგზაურობდა მთებში, ფეხით და თხილამურებით დადიოდა სანადიროდ, სისტემატურად მეცადინეობდა ტანვარჯიშში. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ყოველდღიურ ტანვარჯიშსა და ცივი წყლით ტანის დაზელვას.

საპყრობილეებიდან და გადასახლების ადგილებიდან გამოგზავნილ წერილებში ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ფიზიკური ვარჯიშები მისთვის წარმოადგენენ მზნეობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და აღდგენის საუცხოო საშუალებას. იგი მხურვალედ მოუწოდებდა ახლობლებს ხელი მოეკიდათ ფიზიკური ვარჯიშებისათვის.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინი თავის თანამებრძოლებს, რომლებიც დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწეოდნენ, მუდამ ურჩევდა მიემართათ სპორტისათვის, როგორც აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალებისათვის.

* * *

ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა განვლილი 28 წლის ძანძილზე დღითი დღე იზრდებოდა, იფურჩქნებოდა და მტკიცდებოდა. დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი მამობრივ მზრუნველობას იჩენს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი, საბჭოთა მშრომელების ფიზიკური და მორალური გამოწრთობისადმი.

ხალხის ჯანმრთელობისა და ფიზიკური აღზრდისათვის ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგი სტალინის მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თავდადებული მუშაობით საბჭოთა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმია ცხადყოფს თავის მხურვალე ერთგულებას დიდი ლენინის იდეებისადმი, უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას დიდი სტალინისადმი.

★ ★ ★

„ჩვენს შრომის ქვეყანაში საჭიროა ფიზიკურად გამძლე ადამიანთა, ნებისყოფიან, მამაც, ენერგიულ, მტკიცე ადამიანთა მილიონიანი არმიები. მათ ეკუთვნით მომავალი, მათი ხელით იქნება მოპოვებული ადამიანთა საზოგადოების ახალი საფუძვლების მშენებლობის უფლება.“

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ნადირობის დროს

მხატვარ სიდოროვის ნახატის რეპროდუქცია.

ლენინი ჭადრაკის დაფასთან

ხალხთა დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი შტრიხი საკაცობრიო კულტურის საგანძურის მრავალი დარგისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე მაგალითია.

სხვა საყვარელ მეცადინეობებთან ერთად, რომლებსაც ვლადიმერ ილიას-ძე ახალგაზრდობაში და შემდგომშიც გატაცებით უთმობდა თავისუფალ დროს, ჭადრაკიც გვხვდება.

საჭადრაკო ხელოვნებას, ისე როგორც სპორტის სხვა სახეებს, ლენინი აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალებად თვლიდა. მას მარტო თამაში როდი იტაცებდა; იგი საჭადრაკო შემოქმედების მრავალფეროვან ფორმების შესანიშნავი შემფასებელიც იყო.

ჭადრაკის თამაში ვლადიმერ ილიას-ძემ ისწავლა 8-9 წლის ასაკში. ჭადრაკი ულიანოვების ოჯახში დიდი სიმპათიით სარგებლობდა. „თითქმის მთელმა ჩვენმა ოჯახმა იცოდა ჭადრაკის თამაში,—იგონებს ლენინის უმცროსი ძმა დიმიტრი ილიას-ძე. — განსაკუთრებით მისი დიდი მოყვარული იყო ჩვენი მამა ილია ნიკოლოზის-ძე“.

ჭადრაკით თავისი გატაცება ილია ნიკოლოზის-ძემ გადასცა თავის ბავშვებს ვლადიმერს, ალექსანდრეს, დიმიტრის, ანას, მარიამს და ოლგას. „აქ ჩვენმა დედამ მარიამ ალექსანდრეს ასულმაც ვერ შეძლო არ აჰყოლოდა საერთო გატაცებას“, — იგონებს დიმიტრი ილიას-ძე.

ოჯახში დიდხანს ინახებოდა ლენინის მამის მიერ ხალმის ხისაგან გამოთლილი ჭადრაკის ფიგურები, რომლებითაც ბავშვებმა ისწავლეს თამაში. ილია ნიკოლოზის-ძის გარდაცვალების შემდეგ ჭადრაკის ეს ფიგურები დედამ საჩუქრად გაუგზავნა ვლადიმერ ილიას-ძეს საზღვარგარეთ. ფოსტის დაუდევრობით ეს ისტორიული ჭადრაკი, სამწუხაროდ, დაკარგა.

ულიანოვების ოჯახში უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა ლენინის უფროსი ძმა ალექსანდრე.

ყაზანში სტუდენტობის წლებში (1888-1889 წ წ.) ვლადიმერ ილიას-ძე თავის ბიძაშვილთან ერთად ხშირად დადიოდა ჭადრაკის კლუბში. ლენინი სერიოზულად ეკიდებოდა ყოველ პარტიას, მას არ უყვარდა მსუბუქი პარტიები. დიმიტრი ილიას-ძე, რომელიც თვითონ იყო ჭადრაკის დიდი მოტრფიალე, 1926 წელს საჭადრაკო ჟურნალ „64“-ში წერდა: „ვლადიმერ ილიას-ძეს ჰქონდა შესანიშნავი წესი, რომელსაც თვითონ იცავდა და მკაცრად მოითხოვდა მოწინააღმდეგისაგან: გაკეთებული სვლები არავითარ შემთხვევაში უკან არ უნდა დაებრუნებინათ — მოჰკიდე ხელი ფიგურას, იმითვე ითამაშე...“

როდესაც ვლადიმერ ილიას-ძე სუსტ მეტოქეს ეთამაშებოდა, იგი მას ძალების გათანაბრების მიზნით წახ აძლევდა ამა თუ იმ ფიგურას. მაგრამ როდესაც თავმოყვარე პარტნიორი ამაზე უარს ამბობდა, ვლადიმერ ილიას-ძე ჩვეულებრივ იტყოდა: „რა საინტერესოა ჩემთვის თანაბარი ძალებით თამაში, როდესაც არ არის საჭირო ფიქრი, ბრძოლა...“

ლენინისათვის ჭადრაკის თამაშში მთავარი იყო შეუპოვარი ბრძოლა, საუკეთესო სვლის მოძებნა მძიმე და თითქოს უიმედო მდგომარეობაში; მას კმაყოფილებას გვრიდა მოწინააღმდეგის მოხდენილი, ლამაზი სვლები. მაშინ, როდესაც პარტნიორი სუსტი სვლით მას მოგების შესაძლებლობას მისცემდა, ლენინი ღიმილით იტყოდა ხოლმე: „ეს მე კი არ მოვიგე, არამედ შენ წააგე“.

საბუნებაროდ, ლენინის პარტიების ჩანაწერები არ შენახულა. ვლადიმერ ილიას-ძეს უთამაშია ბევრ ძლიერ მოჭადრაკესთან. ახალგაზრდობისას (1889 წ.) მან სამარის ერთ-ერთ გახდიკაპ-ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, სადაც გაუსწრო ცნობილ რუს მოჭადრაკე ა. ხარდინს.

არანაკლები ინტერესით თამაშობდა ჭადრაკს ვლადიმერ ილიას-ძე მიწერ-მოწერით. ასე, სოფელ შუშენსკოეში გადასახლებისას იგი ამ წესით ეთამაშებოდა გადასახლებულ რევოლუციონერს პ. ლეპეშინსკის. ლეპეშინსკი კმაყოფილების გრძნობით იგონებს, რომ ლენინი თავის წერილებში საჭადრაკო სვლებთან ერთად მიზანდასახულად ბიზარებდა თავის ლიტერატურულ გეგმებს, თავის აზრებს პოლიტიკურ საკითხებზეო და სხვ.

ლენინმა გვერდი არ აუარა ჭადრაკის ისეთ თავისებურ და რთულ დარგს, როგორიც არის საჭადრაკო კომპოზიცია. ცნობილია ვლადიმერ ილიას-ძეს მიერ ძმები პლატოვების ეტიუდის მაღალი შეფასება.

თავის შესანიშნავ შრომებში ვლადიმერ ილიას-ძე აზრის უფრო მკაფიოდ, ყველასათვის გასაგებად გამოსახატავად მოხდენილად იყენებდა ჭადრაკის ცნებებს მაგალითად, თავის შენიშვნებში (1900 წლის ბოლო) ვლადიმერ ილიას-ძე მოგვითხრობს, როგორ აპირებდა პლეხანოვი რედაქციის შემადგენლობიდან თავისი წასვლის მუქარით სოციალ-დემოკრატიული „ისკრის“ გამოცემის ჩაშლას. როდესაც რედაქციის დანარჩენი წევრები მას ამაში არ ეთანხმებიან, იგი ჩქარა „თანხმდება“...

ლენინმა პლეხანოვის მანერი ასე გაშიფრა: „... პლეხანოვის განცხადება თანარედაქტორობაზე უარის შესახებ იყო უბრალო მახე, გათვლილი საჭადრაკო სვლა, გათვალისწინებული ხაფანგად მიჰქონდა „პატიოსნებისათვის“.

ჩვენს ქვეყანაში საჭადრაკო-სამაშო მოძრაობის განვითარებას საფუძველ დაუდო ლენინ-სტალინის მოძღვრება პროლეტარული კულტურის შესახებ და დღეს საბჭოთა მოჭადრაკეები პირველნი არიან მსოფლიოში.

დიდი ლენინის იდეები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირადი მაგალითი მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს კიდევ უფრო სრულყოფილად დაეუფლონ კაცობრიობის მიერ შექმნილ კულტურას.

თ. გიორგაძე,

ოსტატობის კანდიდატი.

„ისკრის“ მოწინავე რაიონული საბჭო

მახარაძე. (ჩვენი კორ.). უკანასკნელ ხანებში ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ისკრის“ რაიონულმა საბჭომ შესამჩნევად გააუმჯობესა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 670 კაცამდე გაიზარდა, ამაღლდა რაიონის ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის დონე და სხვ.

ამ დღეებში გაიმართა „ისკრის“ რაიონული კონფერენცია საანგარიშო ძოხსენებით გამოვიდა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. მგალობლიშვილი.

— ჩვენი რაიონის ფიზკულტურელთა ერთგვარი წარმატება — განაცხადა მომხსენებელმა, — შედეგია იმ ნაყოფიერი მუშაობისა, რასაც „ისკრის“ რაიონული საბჭო აწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში. მახარაძის რაიონულმა საბჭომ კარგად გაანაღდა მშთ ნიშნსანთა მომზადების გეგმა: საანგარიშო პერიოდში მშთ I საფეხურზე მომზადდა 203 ნიშნოსანი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 190 კაცისა, მშთ II საფეხურზე 40 კაცის ნაცვლად — 48.

მიღწეულია მოპოვებული აგრეთვე თანრიგოსანთ სპორტსმენთა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მომზადების საქმეშიც.

„ისკრის“ რაიონულ საბჭოს ჰყავს მთელი რიგი მოწინავე სასკოლო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები (სოფ. მელექედურის 8-წლიანი სკოლა, მახარაძის ბედსასწავლებელი, ძიმითისა [illegible] ქალაქის პირველი [illegible] სკოლა).

ამ მოწინავე ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად რაიონში არიან კოლექტივები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და სუსტად გამოიყურებიან (ჯუმათის, ვაკიჯვრის და შრომის სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციები).

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს „ისკრის“ რაიონული საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აღნიშნულ იქნა, რომ მახარაძის რაიონული საბჭო მუშაობას უმთავრესად აწარმოებს დაწყებითი და საშუალო სკოლების თანამშრომელთა შორის; სუსტად არის დაყენებული მუშაობა სხვა ორგანიზაციებში კერძოდ, საფინანსო-სამანკო, პოლიტ-საგანმანათლებლო და პოლიგრაფმრეწველობის პროფკავშირების წევრთა შორის.

კონფერენციამ მკაცრად გააკრიტიკა „ისკრის“ რაიონული საბჭო ფიზკულტურასა და სპორტში ქალთა სუსტად ჩაბმისათვის

დასასრულ, არჩეულ იქნა „ისკრის“ რაიონული საბჭოს ახალი შემადგენლობა.

კ. ჩხაიძე

არდადეგების პერიოდში

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში ბათუმში გაიმართა მთელი რიგი საინტერესო სპორტული შეჯიბრებები.

მოსწავლე ფრენბურთელთა შორის ასპარეზობაში ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვეს მე-7 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ვაჟთა შორის — მე-3 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა პირადი პირველობა. ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მეორეთანრიგოსანმა ვ. ჩხაიძემ (მე-3 სკოლა), რომელმაც დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე.

გოგონათა შორის გამარჯვება წილად ხვდა მე-8 სკოლის მეათეკლასელს ა. ჩაიკოვსკაიას; ნიჭიერმა ნორჩმა მოჭადრაკემ 15 შესაძლებლიდან მოაგროვა 15 ქულა.

ჩატარდა ავრეთვე შეჯიბრება კრივში, ჭიდაობაში, აკრობატიკაში და მხატვრულ ტანვარჯიშში.

შ. ძველაძე

ბათუმი.

რაიონის ჩემპიონი

საინტერესო სპორტული ბრძოლებით აღინიშნა ხაშურის რაიონის სკოლების პირველობა ჭადრაკში.

გათამაშებაში მონაწილე 7 გუნდიდან დაწინაურდნენ ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური სასწავლებლის გუნდი და ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის II ნაკრება გადამწყვეტი შეხვედრა მათ შორის დამთავრდა სკოლის მოსწავლეთა გამარჯვებით.

ვ. ჩიქოვანი,

ხაშურის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.



„ფიზკულტურა ი სპორტის“ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა პროფესორ პ. ლესგაფტის თხზულებათა I ტომი, რომელიც შეიცავს „სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური განათლების“ პირველ ნაწილს. წიგნს წამძღვარებული აქვს პროფ. გ. შახვერდოვის ვრცელი შესავალი სტატია, რომელშიც აღწერილია გამოჩენილი რუსი მეცნიერის ლესგაფტის ცხოვრება და მოღვაწეობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზეთი „ივერია“ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ლესგაფტის მოღვაწეობას და თავის ფურცლებზე ხშირად უთმობდა ადგილს მის ლექციებს, ათავსებდა სტატიებს ფიზიკური აღზრდის დარგში ლესგაფტის მოღვაწეობის შესახებ. ასეთი წერილები „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1893 წელს („ბავშვის ფიზიკური განვითარება და აღზრდა“, „ფიზიკური აღზრდა ყმაწვილებისა“ და სხვ.)

ვ. აფრიდონიძე

* * *

„ფიზკულტურა ი სპორტის“ სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. სერის წიგნი „ტანვარჯიშის ოსტატობის მწვრთნელებისაკენ“, რომელშიც ავტორი იძლევა საინტერესო და სასარგებლო რჩევა-დარიგებებს თუ როგორ უნდა იმეცადინოს ტანმოვარჯიშემ, როგორ დაგეგმოს თავისი წვრთნა და სხვ.

ნ. სერი მოუწოდებს ტანმოვარჯიშეებს დიდი ყურადღება დაუთმონ საერთო ფიზიკურ მომზადებას.

გ. ყირიმელაშვილი

—⊙—

მოკლე ცნობები

ახმეტის რაიონი. სოფელ ბულაანის კოლმეურნე ახალგაზრდობას შორის ნადირობა დიდი სიყვარულით სარგებლობს. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ისახელა თავი ახალგაზრდა მონადირე გ. გოგოჭურმა, რომელმაც მოჰკლა დათვი და მგელი.

ვ. ხალომეიშვილი

ფოთი. დამთავრდა საქალაქო პირველობის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 8 უძლიერესი კოლექტივი.

ხ. ლომაია

ბათუმი. მიმდინარე წელს აქ პირველად გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა, რომელშიც გაიმარჯვა „დინამოს“ გუნდმა.

ხ. პავლიაშვილი

საკავშირო კომიჯეჯში

მოცურავეთა მიზანდასახული მომზადებისათვის, უკეთესი პირობების შექმნისა და მათი სპორტული შედეგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა შეიტანა მთელი რიგი ცვლილებები ცურვის საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის სათანადო ნორმატივებში. კერძოდ, საგრძნობლად გაზრდილია ნორმები ვაჟთათვის ბრასის სტილით ცურვაში 200 მეტრზე, ბატერფლაით 100 მეტრზე. გვერდზე ცურვაში 100 და 300 მეტრზე, ქალთათვის — გვერდზე ცურვაში 100 მეტრზე. საკავშირო სპორტული კლასიფიკაციიდან ამოღებულია სათანადო მოთხოვნები ქალთათვის ნებისმიერი სტილით ცურვაში 1.000 მეტრზე და გვერდზე ცურვაში 200 მეტრზე.

დადგენილია აგრეთვე ახალი საკლასიფიკაციო ცხრილები ტრამპლინიდან და კოშკურიდან წყალში ხტომაში.

გარდა ამისა, საკავშირო კომიტეტმა დააწესა საკავშირო რეკორდების ახალი სარეგისტრაციო სია ცურვაში ამ სიის თანახმად 1952 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებულ იქნება შემდეგი რეკორდები: ვაჟთათვის და ქალთათვის — 100, 200, 400, 500, 800 და 1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 100 და 200 მეტრზე ბრასით, ბატერფლაით და ზურგზე, 100 მ გვერდზე; კომპლექსურ ცურვაში 300 მეტრზე; ამანათცურვაში 4×100 მ., ნებისმიერი სტილით და კომბინირებულ ამანათცურვაში 3×100 მ. გარდა ამისა, ვაჟთათვის რეგისტრირებულ იქნება რეკორდი ამანათცურვაში 4×200 ნებისმიერი სტილით.

ჭაბუკებისა და გოგონებისათვის რეგისტრირებულ იქნება რეკორდები 100, 200 და 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით; 100 და 200 მეტრზე ბრასით, ბატერფლაით და ზურგზე; ამანათცურვა 4×100 ნებისმიერი სტილით და კომბინირებული ამანათცურვა 3×100 მეტრზე. ჭაბუკებისათვის რეგისტრირებულ იქნება აგრეთვე რეკორდი ამანათცურვაში 4×200 მეტრზე ნებისმიერი სტილით.

დადგენილია იმ დისტანციებისა და ცურვის სახეობათა სია, რომელთა მიხედვითაც გაიმართება დიდი მასშტაბის შეჯიბრებები. კერძოდ, შეჯიბრებები სსრ კავშირის პირველობაზე, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების, აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირველობები გაიმართება შემდეგი პროგრამით: ვაჟთათვის და ქალთათვის 100 და 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 200 მეტრზე ბრასით და ბატერფლაით, 100 მ. ზურგზე. გარდა ამისა, ვაჟები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ცურვაში 1.500 მეტრზე და ამანათცურვაში 4×200 ნებისმიერი სტილით, ხოლო ქალები — ამანათცურვაში 4×100 ნებისმიერი სტილით.

საკავშირო, რესპუბლიკური და საქალაქო შეჯიბრებები ჩატარდება აგრეთვე შეცვლილი პროგრამით: ჭაბუკები — 100 და 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 200 მეტრზე ბრასით და ბატერფლაით; 100 მ. ზურგზე; ამანათცურვაში 4×200 მეტრზე ნებისმიერი სტილით. გოგონათა პროგრამაში შეტანილია ასპარეზობანი 100 და 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 200 მეტრზე ბრასით, 100 მეტრზე ბატერფლაით და ზურგზე და ამანათცურვა 4×100 მ. ნებისმიერი სტილით.

საახალწლო კოლექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 ჩემპიონატის ისტორია

1936 წლამდე სსრ კავშირის პირველობას ერთმანეთს ქალაქების ნაკრები გუნდები ეცილებოდნენ. 1936 წელს — პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სატიტელო წოდებისათვის ბრძოლა გაიმართა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა კოლექტივებს შორის და მას შემდეგ ეს გათამაშება ამგვარი სისტემით ტარდება.

13-ჯერ გათამაშდა მას შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონატი. იცვლებოდა ჯგუფების რიცხვი, გუნდების რაოდენობა. იცვლებოდა შეჯიბრების პირობები და ჩათვლითი სისტემა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა პირველობის იდეა — ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში საბჭოთა გუნდებს აემაღლებინათ ტაქტიკურ-ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონე, მორალური სიმტკიცე, კიდევ უფრო სრულყოფილად დაეხვეწათ თამაშის საკუთარი, საბჭოური სტილი.

თბილისის „დინამო“ 1936 წლის საგაზაფხულო გათამაშებაში მონაწილეობდა „ბ“ ჯგუფში 5 მოგება და მხოლოდ 1 ფრე — ასეთი ბრწყინვალე შედეგით დაამთავრეს თბილისელებმა 1936 წლის „გაზაფხული“, „საშემოდგომოდ“ კი უმაღლეს—„ა“ ჯგუფში გადაინაცვლეს და უძლიერესთა შორის III ადგილი დიმკვიდრეს. ამ წლებში გუნდს წვრთნიდა გ. ფაჩულია.

1937-38 წლებში თბილისის „დინამომ“ დაიკავა შესაბამისად IV და VI ადგილი.

შემდგომ გათამაშებებს „სამხრეთელები“ საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდნენ. მაღალი კლასის ფეხბურთელები, გამოცდილი მწვრთნელის მ. ბუტუსოვის ხელმძღვანელობით მშვენივრად შეთამაშდნენ და ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე აჩვენეს შესანიშნავი თამაში. 1939-1940 წლებში მათ მოიპოვეს II ადგილი.

პირველივე ომისშემდგომ ჩემპიონატში (1945 წ.) ჩვენმა გუნდებმა ცხადყვეს, რომ ომის წლებმა ვერ შეარყია საბჭოთა ფეხბურთის მაღალი კლასი. თბილისის „დინამო“ მთელი გათამაშების მანძილზე ლიდერთა რიცხვში იყო და საბოლოოდ IV ადგილზე გავიდა.

1946-47 წლების სეზონი „სამხრეთელებმა“ თანაბარი წარმატებით ჩაატარეს და III ადგილზე გავიდნენ. ამ წლებში გუნდს წვრთნიდა ა. ჟორდანია.

1948 წელს გუნდი გამოდის IV ადგილზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ — მეექვსეზე. გუნდის მწვრთნელებად იყვნენ ა. სოკოლოვი, მ. მინაევი და მ. ბერძენიშვილი.

1950 წელს „დინამო“ გულმოდგინედ იქნა დაკომპლექტებული ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით, რომელთაც ჩინებულად აითვისეს და განაგრძეს ძველი თაობის ტრადიციები. მწვავე ბრძოლების შემდეგ დინამოელებმა III ადგილი დიისაკუთრეს.

განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო იყო XIII ჩემპიონატი.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით 1925 წელს თბილისში ჩამოყალიბდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. კარგად დაყენებულმა სასწავლო-სწავრთნელმა მუშაობამ და მოთამაშეთა უურადღებით შერჩევამ მალე შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. პირველი ოფიციალური მატჩიდან ორი წლის შემდეგ თბილისის „დინამომ“ უკვე ქალაქის ჩემპიონისა და რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვა. 1928 წელს დინამოელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — მოიხვეჭეს ამიერკავკასიის ჩემპიონის საპატიო წოდება. ამით დაიწყო მეგობრული კოლექტივის სახელოვანი გზა.

ამხანაგურ შეხვედრებში მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, როსტოვის, ივანოვოს და სხვა ქალაქების გუნდებთან თბილისის „დინამო“ ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული. ძლიერ მეტოქეებთან საინტერესო მატჩებში გუნდი იწრთობოდა და სრულყოფისაკენ მიდიოდა.

1936 წლიდან თბილისის „დინამომ“ მოიპოვა სსრ კავშირის პირველობისათვის ბრძოლაში უძლიერეს გუნდებს შორის მონაწილეობის უფლება.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, კუიბიშევის, სტალინგრადის, რიგისა და სხვა ქალაქების ფეხბურთის მოყვარულნი კარგად იცნობენ ტემპერამენტიან, მალალტექნიკურ, ენერგიულ თბილისელებს.

არაერთხელ წარმატებით დაუცავს საბჭოთა სპორტის დიდება დინამოელთა კოლექტივს ჩვენი ხამშობლოს საზღვრებს გარეთაც. თბილისის დინამოელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მატჩები ირანის, რუმინეთის, პოლონეთის უძლიერეს გუნდებთან

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ღირსეულად ატარებს ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი სპორტული კოლექტივის სახელს.

თბილისის „დინამოში“ უფროს მწვრთნელად მოვიდა მ. იაკუშინი, რომელმაც კარგად მოამზადა გუნდი. თბილისელმა ოსტატებმა პირველად ომისშემდგომ წლებში მოიპოვეს II ადგილი.

ბროლის თასისათვის ბრძოლაში

არის მატჩები, რომლებიც არასოდეს არ ავიწყდებათ ფეხბურთის მოყვარულთ. გადის წლები და ეს თამაშები ყველა თავისი დეტალითა და წვრილმანით ისე ცოცხლადაა აღბეჭდილი მეხსიერებაში, როგორც ახალი.

ასეთი იყო 1936 წლის თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. მოსკოველი მაყურებლები ახლაც იხსენებენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ დაუვიწყარ შეხვედრას, რომელსაც არც თუ ისე დიდი ინტერესით ელოდნენ. მართლაც, რა უნდა ექნა „ა“ ჯგუფის დებიუტანტს — თბილისის „დინამოს“ — მრავალ საფეხბურთო ბრძოლაში გამობრძმედილ „სპარტაკთან“.

მაგრამ 240 წუთი დაჭირდა გამარჯვებულის გამოვლინებას, 240 მწვავე და ცხარე ბრძოლით აღსავსე წუთი.

პირველ მატჩში, როცა ანგარიში 3:1 იყო მოსკოველთა სასარგებლოდ, თამაშის დამთავრებას ცოტაღა აკლდა. „სპარტაკის“ ქომაგები უკვე ნახევარფინალური მატჩის მეტოქესთან შეხვედრის პროგნოზებს აკეთებდნენ და „თავისი“ გუნდის გამარჯვებაში ეჭვი აღარ შეჰქონდათ. არავინ ელოდა იმას, რაც „სამხრეთელებმა“ გააკეთეს: რამდენიმე წუთში მთლიანად დაეუფლნენ მოედანს, ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს — 3:3.

დებულების თანახმად გუნდები მეორე დღეს შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იყო უაღრესად დაძაბული, შესანიშნავი თამაში. წინადღის ამბავი პირიქით გამეორდა: ანგარიში 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ ბოლო წუთებში გაქვითეს მოსკოველებმა, მაგრამ დამატებით დროში ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქეს უჩვეულოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს და მათ კარში 3 ბურთი გაიტანეს (6:3).

თასის გათამაშების უღმობელი წესი, როცა დამარცხებული ჰკარგავს ყოველგვარ პრეტენზიას ჯილდოზე, განსაკუთრებულ სიმწვავეს ჰმატებს შეხვედრებს.

თბილისის „დინამოს“ სამართლიანად თვლიან ერთ-ერთ უძლიერესად თასის მებრძოლთა შორის. მართლაც, თბილისელები ექვსჯერ მონაწილეობდნენ ნახევარფინალურ შეხვედრებში (1936, 1937, 1938, 1939, 1946, 1948 წ. წ.) და სამჯერ — ფინალში (1936, 1937, 1946 წ. წ.).

ბრწყინვალე დამწყებნი და ღირსეული გამგრძელებელნი

ბევრმა შესანიშნავმა ოსტატმა „აიდგა ფეხი“ თბილისის „დინამოში“, მრავალი საუკეთესო ფეხბურთელი აღზარდა სახელოვანმა კოლექტივმა.

აი ისინი, ვინც პირველად იცავდა საქართველოს პირველი გუნდის სახელს: მეკარე ა. დოროხოვი, მცველები შ. შავგულიძე და ე. ნიკოლაიშვილი, ნახევარმცველები ვ. ჯორბენაძე და გ. გაგუა, თავდამსხმელები ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ნ. სოფოვი, ი. პანინი და სხვ.

1937 წლიდან გუნდს შეემატნენ მეკარე ა. ტყუბუჩავა, მცველი გ. ჭუმბურიძე, ნახევარმცველები ბ. ფროლოვი, მ. მინაევი და ა. კიკნაძე, თავდამსხმელები ვ. ბერეენოი, თ. გავაშელი და გ. ჯეჯელავა.

ეს იყო ძირითადი ბირთვი, რომელმაც შექმნა მონოლითური, შეწყობილი ანსამბლი. ამ ოსტატებმა შეიმუშავეს თამაშის ის საკუთარი, მკვეთრად განსხვავებული სტილი, რომელიც დღემდე შერჩა გუნდს.

შემდგომ წლებში გუნდში მოვიდნენ მცველები გ. ჭელიძე და უ. სალდაძე, თავდამსხმელები ა. ხარბედია და ვ. პანიუკოვი.

პირველ, ომისშემდგომ ტურნირში (1945 წ.) თბილისის „დინამოში“ ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ: მეკარე ს. შუდრა, თავდამსხმელები გ. ანთაძე და ა. ლოლობერიძე, ხოლო ერთი წლის შემდეგ მცველები ი. სარჯველაძე და ნ. ძიაპშიპა.

1947 წელს გუნდი მოთამაშეთა ერთგვარ კრიზისს განიცდიდა. ძველი თაობის გამობრძმედილმა ოსტატებმა დატოვეს მოედანი, ხოლო გამოუცდელი ახალგაზრდობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შეთამაშებული. მალე გუნდს შეემატნენ მეკარე ვ. მარღანია, თავდამსხმელები რ. მეზარაძე, ა. თოდრია, ა. ზაზროშვილი, ს. ჯეჯელავა.

აეწყო ანსამბლი. კვლავ ძველებურ აიდაზე შეთამაშდა კოლექტივი, თუმცა იგრძნობოდა ტაქტიკური ხარვეზები.

გასულ წელს მინიმუმამდე დავიდა ეს ხარვეზები. მწვრთნელებმა მ. იაკუშინმა და მ. მინაევმა (იგი გუნდის მწვრთნელად 1940 წლიდანაა) ბევრი რამ გააკეთეს გუნდის ტაქტიკური პროფილის საბოლოო დადგენისათვის.

ახლა „სამხრეთელები“ შესანიშნავად არიან დაკომპლექტებული. ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდობა უკვე კარგად არის დაუფლებული ფეხბურთის რთულ ტექნიკასა და ტაქტიკას. თავდამსხმელები მ. ჯოჯუა, ი. ვარდიმიადი, ა. ჭკუასელი, კ. გაგნიძე, მცველები ვ. ელოშვილი და ჯ. რუსაძე, ნახევარმცველები ა. კილაძე, გ. ჯავახაძე, ახალგაზრდა მეკარე შ. კიტია და სხვანი წარმატებით ავრძელებენ კოლექტივის სახელოვან ტრადიციებს.

შესანიშნავი ტრადიციები

ძნელია ზუსტად იმის დადგენა, თუ როდის, რომელმა ფეხბურთელმა დატოვა პირველად თავისი სამოქმედო არე და მეზობელ სექტორში გადაინაცვლა. თამაშის მსვლელობაში ათასგვარი ვარიაცია წარმოიქმნება და ფეხბურთელთა მიერ ადგილების ცვლას მუდამ ჰქონდა ადგილი. ან ცენტრალური თავდამსხმელი გავიდოდა მარჯვენა შუამარბის ზონაში, ან გარემარბები ჩამოჰყვებოდნენ ბურთს საჭირო მომენტში თავისი კარისაკენ, მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად, მხოლოდ უკიდურეს აუცილებლობისას; ყოველი მოთამაშე, ძირითადად, თავის ნაკვეთს „ემსახურებოდა“ და იქ მოქმედებდა.

ეს, მრავალი წლის მანძილზე გაბატონებული „კანონი“ პირველად თბილისის „დინამომ“ დაარღვია. საბჭოთა ფეხბურთის უბადლო ვირტუოზმა ბორის პაიჭაძემ პირველმა „გადალახა“ ლიმიტირებული საზღვრები და შექმნა „მოხეტიალე“ თავდამსხმელის განუმეორებელი სახე. შეუდარებელი დიდოსტატი ერთნაირი სიძლიერით თამაშობდა თავდასხმის ყოველ სექტორში და საბრძოლო პოზიციების ხშირი შეცვლით მოულოდნელ იერიშებს ახორციელებდა მეტოქის კარზე.

ასეთივე „დაუდეგარი“ იყო მეორე შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი გაიოზ ჯეჯელავა — რთული დრიბლინგის უნაკლო შემსრულებელი.

მეტოქის დაცვის დეზორგანიზაციის ეს საუკეთესო საშუალება — ადგილების ცვლა — თბილისის „დინამოს“ დანარჩენმა თავდამსხმელებმა ვ. პანიუკოვმა, ა. ხარბედიამ, ვ. ბერეენოიმ და სხვებმა აითვისეს ბრწყინვალედ. ისინი კარგა ხანს ამუშავებდნენ ამ ხერხს და ეს „წესრიგიანი არეულობა“ პირველად თბილისელებმა განახორციელეს დაუვიწყარ თამაშში 1939 წელს მოსკოვის ცდკა-სთან, როცა „სამხრეთელებმა“ თოთქმის უიმედო თამაშში, როცა ისინი აგებდნენ 1:4-ს (პირველი ტაიმი), მოიგეს მატჩი ანგარიშით 5:4!

თავდამსხმელთა მიერ ადგილების შეცვლის სისტემა შემდგომში სხვა გუნდებმაც გადაიღეს და ახლა იგი საბჭოთა ფეხბურთის ტაქტიკური არსენალის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველები გ. გაგუა, მ. ბერძენიშვილი და ვ. ჯორბენაძე ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ სსრ კავშირში, რომლებიც შესანიშნავად ასრულებდნენ თავდამსხმელებისა და მცველების ფუნქციებს მოწინააღმდეგე გუნდების მცველები ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდნენ, როცა მათი კარის იერიშებში მე-6 და მე-7 თბილისელი ჩაებმებოდა ხოლმე.

ახალი სიტყვა თქვა ფეხბურთში თავისი დროის საუკეთესო მეკარემ ა. დოროხოვმაც. იგი საჭირო მომენტებში კარიდან თამამად ვამოდიოდა წინ, ერეოდა მცველთა რიგებში და უვნებელყოფდა მოწინააღმდეგის იერიშებს საჯარიმო მოედანზე, კარის ახლო მისადგომებზე.

თბილისის „დინამოს“ საკუთარი, სპეციფიკური სტილია უაღრესად სწრაფი ტემპი, მოხდენილ გადაცემებზე და დრიბლინგზე აგებული თამაში, თავდამსხმელთა მიერ ადგილების გაზრებული ცვლა, გუნდის ყოველი წევრის მაღალი ტექნიკა.

საზღვარგარეთ

ქართველ ფეხბურთელებს კარგად იცნობენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც. არც ერთხელ არ დამარცხებულა თბილისის „დინამო“ უცხოეთში!

თბილისის „დინამოს“ პირველი საერთაშორისო მატჩი საზღვარგარეთ ჰქონდა ირანელ ფეხბურთელებთან (1944 წ.). თბილისელებმა ადვილად — 5:1 — დაამარცხეს ირანის ნაკრები. მეორე თამაშში დინამოელებმა მოუგეს თეირანის ნაკრებს (4-0).

ერთი წლის შემდეგ თბილისის „დინამო“ გაემგზავრა რუმინეთს, სადაც მოიპოვა გამარჯვებანი რუმინეთის საუკეთესო გუნდებთან შეხვედრებში — 2:1 (ყფრ), 10:5 („იუვენტუსი“), 5:0 (ტიმიშოარა).

1951 წელს თბილისის „დინამო“ ჩავიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მათ წინააღმდეგ ითამაშა პოლონეთის ფეხბურთის ყველა ლიდერმა — თასის მფლობელმა და ჩემპიონატში პირველ 3 ადგილზე გასულმა გუნდებმა.

დინამოელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ტურნე და სამშობლოში ასეთი შედეგით დაბრუნდნენ: 3 მოგება და 1 ფრე ბურთების საერთო შეფარდებით 10:1.





სურათებზე: მარცხნივ — თბილისის „დინამოს“ მატჩი კიევის თანაკლუბელებთან 1937 წელს. მ. ბერძენიშვილს გააქვს ბურთი მოწინააღმდეგის კარში; შუაში—მეკარე ა. დოროხოვის ნახტომი; მარჯვნივ—ბ. პაიჭაძე, მოსკოვის „დინამოს“ რამდენიმე მცველით გარშემორტყმული, გადის მოწინააღმდეგის კარისაკენ.

დავაზუსტოთ ლელობურთის თამაშის წესები

ამას წინათ, „ლელოს“ რედაქციამ ქობულეთში მოაწყო გაზეთში მოთავსებული დ. ჩხიკვაძის, ი. და დ. ცინცაძეების წერილის „ლელობურთის თამაშის წესების შესახებ“ განხილვა, რომელსაც დაესწრნენ ქობულეთის რაიონის ლელობურთელთა ნაკრები გუნდის 18 წევრი, ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის მუშაკები და სხვ.

ქვევით ვაქვეყნებთ ქობულეთის ლელობურთელთა შენიშვნებს.

წავიკითხეთ გაზეთ „ლელოში“ მოთავსებული წერილი „ლელობურთის თამაშის წესების შესახებ“, სადაც სტატიის ავტორები დ. ჩხიკვაძე, ი. ცინცაძე და დ. ცინცაძე სვამენ საკითხს ლელობურთის თამაშის წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ. წერილში წამოყენებული წინადადებების მიხედვით თამაშის წესების ზოგიერთი პუნქტის შესწორება მართლაც სასურველი და კარგი იქნებოდა.

მაგრამ წერილში მოყვანილ ყველა დებულებას ჩვენ არ ვეთანხმებით და ვაყენებთ შემდეგ წინადადებებს:

ა). წერილის ავტორება მოითხოვენ, რომ თამაშს სჯიდეს ორი მსაჯი. ჩვენის აზრით, საჭიროა თამაშს სჯიდეს მხოლოდ ერთი, გამოცდილი და კვალიფიციური მსაჯი, გვერდით მსაჯებთან ერთად.

ბ). მოთამაშის ფიზიკური დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სასურველი იქნება აიკრძალოს ბურთის შეკვრა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშეები წაქცეულნი არიან.

გ). როგორც ცნობილია, წინათ ლელოს თამაშისათვის ვრცელ მოედანს იყენებდნენ, რაც მეტად საინტერესოს ხდიდა სპარეზობას. კარგი იქნება, თუ გავადიდებთ მოედნის მოცულობას სიგრძით 100-120 მეტრამდე, ხოლო სიგანე (50-70 მ.) შეიძლება უცვლელი დარჩეს. ეს მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმიტომ, რომ ხშირად მოთამაშეს, როცა მას ბურთის საჯარიმო გადასროლის უფლებას აძლევენ, მოედნის სიგრძის სიმცირის გამო ცენტრიდან რამდენიმე მეტრის დაცილებითაც კი გააქვს ბურთი ლელოს ხაზს იქით.

დ). ვისაც წინათ უნახავს ლელოს ბურთი, ამბობენ, რომ იგი დიდი მოცულობისა იყო და წონით 8 კილოგრამს აღწევდა. ახლანდელი თამაშის წესები კი მეტად მსუბუქ ბურთს ითვალისწინებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადიდდეს ბურთის წონა 2 კილოგრამამდე მაინც. მიზანშეწონილად მიგვაჩნია იგრეთვე ბურთის მოცულობის გადიდება.

ე). როგორც ცნობილია, გვერდით ხაზზე ბურთის გადაცილების შემთხვევაში მისი გადამგდები მხარე ჯარიმდება. ახლანდელი წესებით ბურთი თამაშში შეჰყავს გვერდით მსაჯს. ჩვენის აზრით, ბურთი თამაშში უნდა შეიყვანოს მოთამაშემ ცენტრისაკენ პერპენდიკულარულად იმ ადგილიდან, საიდანაც ბურთმა ხაზი გადაკვეთა.

გ. გოგუაძე,
ქობულეთის ლელობურთის გუნდის კაპიტანი.

ნ. ჯინჭარაძე, ვ. ბეჟანიძე,
პირველთანრიგოსანი ლელობურთელები.

ერთი კოლექტივის სპარტაკიადა

1949 წლის დეკემბერში, დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის „დინამოს“ III რაისაბჭოს მეოთხე კოლექტივმა (თავმჯდომარე ამხ. ვ. ნავრუზაშვილი) მოაწყო სპარტაკიადა, რომლის ჩატარებაც შემდგომში ტრადიციად იქცა.

ამას წინათ გამართულ მესამე სპარტაკიადაში კოლექტივის ოთხი ფიზკულტურული ჯგუფის 500 წევრი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას სპორტის 10 სახეში (სროლა, უყმბარის ტყორცნა, მძლეოსნური კროსი, ველოკროსი, ქართული ჭიდაობა, ფრენბურთი, რუსული რიკაობა, ჭადრაკი და სხვ.).

საერთო პირველი ადგილი მოიპოვა ფიზკულტურულმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს პ. მელიხინი, მეორე ადგილზეა ი. ზედელაშვილის ჯგუფი.

ცალკეულ სახეებში გაიმარჯვეს: საბრძოლო შაშხანიდან 100 მეტრზე სროლაში პ. მელიხინმა, უყმბარის ტყორცნაში—ც. კუდუხოვმა, კროსში 3 კილომეტრზე — ა. ქერიმოვმა, 5 კილომეტრზე — გ. მელიქიძემ, ველოკროსში 25 კილომეტრზე — მ. ნერსეზაშვილმა, 50 კილომეტრზე — ნ. ჯიკაევმა, ქართულ ჭიდაობაში — მ. ნერსეზაშვილმა, ა. ბოლოთაშვილმა, ზ. კობელაშვილმა, ს. კუდუხაშვილმა.

ჭადრაკში ყველას აჯობა გ. მამიანმა, რუსულ რიკაობაში — მესამე ფიზკულტურული ჯგუფის კოლექტივმა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ფიზკულტურული კოლექტივი არის უძველესი რუსული ეროვნული თამაშის — რიკაობის პოპულარიზაციის ინიციატორი ჩვენს რესპუბლიკაში.

ყველა გამარჯვებული დაჯილდოებულ იქნა სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.

რ. ანთაძე



ქუთაისი. ქალაქის მოკრივეთა მეცადინეობა, მწვრთნელი ი. მარქაროვი (მარჯვნივ) ავარჯიშებს პირველთანრიგოსან ა. ჩიკვაშვილს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

რუსთაველზე ზამთარია
და ჩონჩხები ხეთა,
შენ კი სად ხარ
ძმაო, ახლა —
თბილისში ვერ გხედავ.
ალბათ, ისევ
ბაკურიანს,
სერავ ყურე-ეზოს...
აბა, როგორ გაექცევი
თხილამურის სეზონს...
თოვლი,
თოვლი,
ისევ თოვლი,
ბამბასავით თეთრი...
და მიაპობ მთის ცივ ჰაერს
აბორგებულ მკერდით!
ჰეი, გახსოვს,
სულ პირველად
ბაკურიანს ჩასვლა?
თხილამურის ხმარება რომ
არ ვიცოდი, კაცმა?
დაგვაყარა
თვალმაყვალამ
ჩვენ სიცილი მწველი —
მოცარული
თხილამური
და პიუამო სველი.
დიდი იყო
ჩვენი სწავლის
სურვილი და ნდომა;
ვერც ერთმა კი
ვერ გავბედეთ
ტრამპლინიდან ხტომა.
გადაფრინდა
ქარაფიდან
უცებ მიშა გავა,
მიშამ ქარი,
თუ თვითონ ის
გაიტაცა ქარმა...
იმ დღეების მოგონება
დღესაც მკერდში მოჩქეფს...
მე ჩავიცვი რუსთაველზე
დღეში მაინც ორჯერ.
თქვენ კი, ალბათ,
ბაკურიანს
სერავთ ყურე-ეზოს...
აბა, როგორ გაექცევით
თხილამურის სეზონს?
თოვლი,
თოვლი,
ისევ თოვლი
ბამბასავით თეთრი...
და მიაპობთ
მთის ცივ ჰაერს,
აბორგებულ მკერდით!

ლადო მრელაშვილი

ბათუმის ნორჩ დინამოელთა წარმატება

საქართველოს ნორჩ დინამოელთა სპარტაკიადაზე, რომელიც ახლახან დამთავრდა, კარგ შედეგებს მიაღწია ბათუმის კოლექტივმა. მან მოიპოვა საერთო პირველი ადგილი და გარდამავალი ვერცხლის თასი.

წარმატებას მიაღწიეს ბათუმის მსროლელებმა, რომლებმაც 600 შესაძლებლიდან დააგროვეს 534 ქულა და პირველობა დაისაკუთრეს.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრები კალათბურთში. გოგონათა შორის პირველი ადგილი აიღო ბათუმის გუნდმა, ჭაბუკთა შორის — ქუთაისის კოლექტივმა.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით.

გასწორება

გაზეთ „ლელოს“ ა. წ. მე-4 ნომერში გამოქვეყნებულ ე. გელერ—პ. კვრესის საჭადრაკო პარტიაში შავების მე-6 სვლა უნდა იკითხებოდეს b 5, ხოლო მე-16 სვლა ...ed.

სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივები

წერილების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სიყვარულით ეუფლება ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. მრავალი მოსწავლე ჩაბმულია სხვადასხვა სექციაში, სადაც სისტემატური წვრთნის შედეგად იკაჟებს სხეულს, ამაღლებს სპორტული მომზადების დონეს. რედაქცია ღებულობს წერილებს, რომლებიც მოგვითხრობენ რესპუბლიკის სკოლების სპორტული ცხოვრების შესახებ.

როგორც ქ. სტალინირიდან **ნ. ზადიშვილი** გვწერს, დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალაქის № 1 საშუალო სკოლაში საჭადრაკო სპორტი. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს ჭადრაკის ორი გუნდი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ოლქის ჩემპიონი ო. გასიევი და სკოლის ჩემპიონი ტ. სართანია. მოსწავლეთათვის ეწყობა ლექცია-მოხსენებები ჭადრაკის განვითარების, გამოჩენილ მოჭადრაკეთა შემოქმედების შესახებ. მოსწავლეები არჩევენ და სწავლობენ ჩვენი ქვეყნის დიდოსტატების საჭადრაკო პარტიებს.

ხშირად მონაწილეობენ სკოლის მოჭადრაკეები საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში. სკოლას ჰყავს 30-ზე მეტი თანრიგოსანი მოჭადრაკე, ორი მათგანი შეყვანილია ქალაქის ნაკრებ გუნდში.

ჩვენი მკითხველი **ვ. სალომეაშვილი** ახმეტიდან გვატყობინებს, რომ ამას წინათ სოფ. დუისის საშუალო სკოლაში გაიმართა მსროლელთა შეჯიბრება სკოლის პირველობაზე. შეჯიბრებაში გაიმარჯვა XI კლასის მოსწავლე თ. წილაშვილმა, რომელმაც 50 შესაძლებლიდან 46 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა ლ. ჩხუტიაშვილმა (45 ქულა).

მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის საშუალო სკოლაში, იუწყება **ვ. ბურჭულაძე**, ფიზკულტურულ საქმიანობას ეწევა ფიზკულტურულ საქმიანობას. სკოლის ძირეულ კოლექტივში გაერთიანებულია 222 მოსწავლე. სკოლას ჰყავს 20-ზე მეტი თანრიგოსანი, მშთ I და II საფეხურის 36 და იმშთ 71 ნიშნოსანი. სკოლის ფიზკულტურელებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წარმატებებისათვის მიღებული აქვთ 12 ინდივიდუალური სიგელი. კარგად მუშაობენ კალათბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის სექციები, ჭადრაკის წრე.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან მახარაძის ქალთა № 1 საშუალო სკოლის სპორტული სექციებიც. ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ჭანჭალეიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს. სკოლაში, გვწერს **კ. ჩხაიძე**, სისტემატურად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში. მოსწავლეების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი. სკოლამ გადაჭარბებით შეასრულა ფიზიკური კულტურის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა — მომზადებულია მშთ I საფეხურის 40 და იმშთ 50 ნიშნოსანი.

ამას წინათ, ქალაქ მახარაძის სპორტდარბაზში მოეწყო რაიონის სკოლების 1952 წლის სასკოლო პირველობის გათამაშება ფრენბურთსა და ტანვარჯიშში. პირველობას ფრენბურთში ერთმანეთს ეცილებოდა 12 სკოლის კოლექტივი. ყველაზე უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ სოფ. ნატანების საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ხომერიკი) ფრენბურთელები, რომელთაც მოიპოვეს რაიონის 1952 წლის ჩემპიონის წოდება. ტანვარჯიშში გუნდური პირველობა ერგოთ სოფ. შემოქმედის საშუალო სკოლის ნორჩ ფიზკულტურელებს.

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

„პირობები არის, საქმე კი წინ არ მიდის“

გაზეთ „ლელოს“ 1951 წლის 52-ე ნომერში მოთავსებულ წერილში „პირობები არის, საქმე კი წინ არ მიდის“ აღნიშნული იყო, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექცია მძლეოსნობის განვითარებისადმი საკმაო დაინტერესებას არ იჩენს.

წერილში სხვათაშორის აღნიშნული იყო, რომ მძლეოსანთა სახსწავლო-საწვრთნელი ვარჯიშის ნორმალურად ჩატარებისათვის სალამოს საათებში საჭიროა სტადიონის განათება.

როგორც თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორი ამხ. ვ. დიდიძე გვატყობინებს, 1952 წლის გაზაფხულზე მოწყობილი იქნება სტადიონის განათება.

„უძლიერეს კალათბურთელთა მონაწილეობით“

გაზეთ „ლელოს“ 1951 წლის 54-ე ნომერში მოთავსებულ წერილში „უძლიერეს კალათბურთელთა მონაწილეობით“ აღნიშნული იყო, რომ თბილისის უმაღლესი სკოლების კალათბურთელთა გათამაშებამ, რომლის დროს ადგილი ჰქონდა სპორტსმენთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

როგორც თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ვ. კინკაძე გვატყობინებს, კომიტეტმა კალათბურთის საქალაქო სექციასთან ერთად განიხილა გაზეთში გამოქვეყნებული სტატია და მოისმინა უმაღლესი სასწავლებლების კალათბურთელთა შეჯიბრების მთავარი მსაჯის გ. ავალიშვილის ანგარიში.

თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე ცალკეულ მოთამაშეთა და მსაჯთა მიერ დისციპლინის დარღვევის საკითხი. შეჯიბრებაზე დაუშვებელი საქციელისათვის დისკვალიფიცირებულ იქნა სპორტის ოსტატი ლ. ინწკირველი, ხოლო მოთამაშე გ. აბაშიძეს მიეცა გაფრთხილება. იმ მსაჯების მიმართ, რომლებიც დანიშნულ დროს თამაშებზე არ გამოცხადდნენ, მიღებულია სათანადო ზომები.

ჟურნალი „ფიდე“

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 1952 წლის დასაწყისში პრაღაში გამოსვლას დაიწყებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ოფიციალური ორგანო „ფიდე“.

ჟურნალი გამოვა ხუთ ენაზე — რუსულზე, გერმანულზე, ფრანგულზე, ინგლისურზე და ესპანურზე.

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს არა მარტო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში გაერთიანებული ყველა ეროვნული კავშირის ურთიერთთანამშრომლობას, არამედ ყველა ქვეყნის მოჭადრაკეთა ბრძოლას მშვიდობის დიადი საქმისათვის.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ იტალიელმა ველომარბიელმა ფ. აურეჯიმ ამას წინათ მაღალ წარმატებას მიაღწია. მილანის ტრეკზე მან განავითარა სიჩქარე 43,305 კილომეტრი საათში, რითაც გააუმჯობესა ოფიციალური მსოფლიო რეკორდი.

⊙ იანვრის ბოლოს ბომბეიში (ინდოეთი) იწყება მსოფლიოს 1952 წლის პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. როგორც ცნობილია, გასული წლის მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიისა (ვაკეთა შორის) და რუმინეთის (ქალთა შორის) წარმომადგენლებმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 00115